*ალტე უნივერსიტეტის სტუდენტური კონფერენცია „მდგრადი განვითრების მიზნები: სტუდენტური კვლევა და ინოვაცია“*

**ორგანიზატორი:** ალტე უნივერსიტეტი

**თარიღი:** 16 ივნისი, 2026

**ადგილმდებარეობა:** ალტე უნივერსიტეტი,უნივერსიტეტის ქუჩა N10,0177, თბილისი, საქართველო

## კონფერენციის მიზანი

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია **„მდგრადი განვითარების მიზნები: სტუდენტური კვლევა და ინოვაცია“** მიზნად ისახავს სტუდენტებისა და ახალგაზრდა მკვლევრებისთვის აკადემიური სივრცის შექმნას, სადაც მათ შესაძლებლობა ექნებათ წარმოადგინონ საკუთარი კვლევითი ნაშრომები მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) დაკავშირებულ საკითხებზე.

კონფერენცია ხელს შეუწყობს სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარებას, აკადემიური დისკუსიის კულტურის გაძლიერებას და სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლებს შორის ინტერდისციპლინური თანამშრომლობის წახალისებას.

ღონისძიება ასევე ემსახურება სტუდენტების ჩართულობის გაზრდას სამეცნიერო საქმიანობაში და მათი პროფესიული განვითარების მხარდაჭერას მდგრადი განვითარების გლობალური გამოწვევების კონტექსტში.

## SDG Sustainability Olympiad – ლოკალური ეტაპი

ალტე უნივერსიტეტის სტუდენტური კონფერენცია „მდგრადი განვითარების მიზნები: სტუდენტური კვლევა და ინოვაცია" წელს განსაკუთრებული სიახლით გამოირჩევა – კონფერენცია ასევე წარმოადგენს **Sustainability Olympiad**-ის ლოკალური კონკურსის ოფიციალურ პლატფორმას, რომელიც გლობალური სტუდენტური შეჯიბრია მდგრადი განვითარების სფეროში.

კონფერენციის ფარგლებში ჩატარდება SDG Solutions – Idea Generation Workshop, რომლის მიზანია მონაწილეებს დაეხმაროს მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების გენერირებასა და განვითარებაში.

ორკშოპის  მონაწილეებს ექნებათ დაახლოებით 1.5 თვე, რათა გუნდებმა (2–5 წევრი) დაამუშაონ და დახვეწონ თავიანთი იდეები. ამის შემდეგ გაიმართება Pitching Presentation – ზაფხულში, ივლისში – რომელიც ჩატარდება ადგილზე ან ონლაინ ფორმატში.

გამარჯვებული გუნდი წარადგენს საქართველოს Sustainability Olympiad-ის რეგიონალურ ნახევარფინალზე, სადაც ევროპის საუკეთესო სტუდენტურ გუნდებს შეხვდება. **ალტე უნივერსიტეტი უზრუნველყოფს გამარჯვებული გუნდის მგზავრობის დაფინანსებას.**

**ოლიმპიადის შესახებ დეტალური ინფორმაციის სანახავად ეწვიეთ ბმულს:** SDG Sustainability Olympiad – Georgia 2026 .docx

**მონაწილეები**

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ:

• ალტე უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები;
• სხვა უნივერსიტეტების სტუდენტები;

**საკვანძო თემები**

კონფერენციის თემატიკა ეფუძნება მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs) და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

**1. ჯანმრთელობა და კეთილდღეობა**

*SDG 3 - ჯანმრთელობა და კეთილდღეობა*

- საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხები
- ჯანმრთელობის დაცვის სისტემები
- ფსიქიკური ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
- ჯანმრთელობის თანასწორობა

**2. განათლება, ტექნოლოგიები და ინოვაცია**

*SDG 4 - ხარისხიანი განათლება*
*SDG 9 - ინდუსტრია, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა*

- განათლების თანამედროვე მოდელები
- ციფრული სწავლება და ტექნოლოგიები განათლებაში
- ხელოვნური ინტელექტი და მონაცემთა ანალიზი
- ტექნოლოგიური ინოვაციები

**3. სამართალი, საზოგადოება და სოციალური სამართლიანობა**

*SDG 10 - უთანასწორობის შემცირება*
*SDG 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები*

- ადამიანის უფლებები
- სოციალური თანასწორობა და ინკლუზია
- საჯარო მმართველობა და დემოკრატიული ინსტიტუტები
- სოციალური განვითარება

**4. ეკონომიკა, ბიზნესი და მდგრადი განვითარება**

*SDG 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა*

- ეკონომიკური განვითარება
- ინოვაციური მეწარმეობა
- მდგრადი ბიზნეს პრაქტიკა
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

**კონფერენციის ფორმატი და სტრუქტურა**

- გახსნის ცერემონია და მისასალმებელი სიტყვები
- პლენარული მოხსენებები
- პანელური სესიები
- თემატური დისკუსიები და ვორკშოპები
- შემაჯამებელი დისკუსიები და დასკვნები

**ორგანიზაციული სტრუქტურა**

სამეცნიერო კომიტეტი

საორგანიზაციო კომიტეტი

მენტორები

**მოსალოდნელი შედეგები**

სტუდენტური კონფერენცია შექმნის შესაძლებლობას ახალგაზრდა მკვლევრებისთვის წარმოადგინონ საკუთარი კვლევები აკადემიურ გარემოში, მიიღონ გამოცდილება საჯარო პრეზენტაციებსა და სამეცნიერო დისკუსიებში. კონფერენციის ფარგლებში ჩატარებული SDG Solutions – Idea Generation Workshop კი სტუდენტებს დაეხმარება მდგრადი განვითარების გამოწვევებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და იდეების საჯარო პრეზენტაციისთვის (Pitching Presentation) მომზადებაში.

კონფერენცია ხელს შეუწყობს სტუდენტების კვლევითი პოტენციალის განვითარებას, აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერებასა და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას სტუდენტურ საზოგადოებაში. გამარჯვებული გუნდი Sustainability Olympiad-ის ლოკალური ეტაპის გავლით საქართველოს წარადგენს ევროპულ რეგიონალურ ნახევარფინალზე, რაც ალტე უნივერსიტეტს საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ჩართავს და სტუდენტებს გლობალურ დონეზე თავის წარჩინების შესაძლებლობას მისცემს.

**Organizer:** Alte University

**Date:** June 16, 2026

**Location:** University str. 10, 0177, Tbilisi, Georgia

## Conference Objective

The student scientific conference “Sustainable Development Goals: Student Research and Innovation” aims to create an academic platform for students and early-career researchers to present their research and discuss issues related to the Sustainable Development Goals (SDGs).

The conference seeks to promote the development of research skills among students, encourage academic discussion, and foster interdisciplinary collaboration among participants from different fields of study.

The event also aims to increase student engagement in scientific activities and support their professional development in the context of global sustainable development challenges.

## SDG Sustainability Olympiad – Local Stage

Alte University's student conference "Sustainable Development Goals: Student Research and Innovation" stands out this year with a special new addition – the conference also serves as the official platform for the local competition of the Sustainability Olympiad, a global student competition in the field of sustainable development.

As part of the conference, an SDG Solutions – Idea Generation Workshop will be held, aimed at helping participants generate and develop solutions focused on the Sustainable Development Goals.

Workshop participants will have approximately 1.5 months for teams (2–5 members) to develop and refine their ideas. This will be followed by a Pitching Presentation – taking place in summer, in July – which will be held either in-person or online.

The winning team will represent Georgia at the regional semi-final of the Sustainability Olympiad, where they will compete against the best student teams from across Europe. Alte University will cover the travel expenses of the winning team.

For more detailed information about the Olympiad, please visit: SDG Sustainability Olympiad – Georgia 2026

## Participants

The conference will bring together:

• Undergraduate and graduate students from Alte University;
• Students from other universities.

**Key Themes**

The conference themes are aligned with the Sustainable Development Goals (SDGs) and include the following areas:

**1. Health and Well-being**

*SDG 3 - Good Health and Well-being*

- Public health challenges
- Healthcare systems and sustainability
- Mental health and well-being
- Health equity

**2. Education, Technology and Innovation**

*SDG 4 - Quality Education*
*SDG 9 - Industry, Innovation and Infrastructure*

- Innovative models of education
- Digital learning and educational technologies
- Artificial intelligence and data analytics
- Technological innovation

**3. Law, Society and Social Justice**

*SDG 10 - Reduced Inequalities*
*SDG 16 - Peace, Justice and Strong Institutions*

- Human rights
- Social equality and inclusion
- Public governance and democratic institutions
- Social development

**4. Economy, Business and Sustainable Development**

*SDG 8 - Decent Work and Economic Growth*
*SDG 12 -Responsible Consumption and Production*

- Economic development

- Innovative entrepreneurship
- Sustainable business practices
- Corporate social responsibility

**Conference Format and Structure**

- Opening ceremony and welcome speeches
- Plenary sessions
- Panel sessions
- Thematic discussions and workshops Concluding discussions and remarks

**Organizational Structure**

Scientific Committee

Organizing Committee

Mentors

**Expected Outcomes**

The student conference will provide young researchers with the opportunity to present their work in an academic setting, gain experience in public presentations and scholarly discussions. The SDG Solutions - Idea Generation Workshop, held as part of the conference, will help students develop solutions focused on sustainable development challenges and prepare Pitching Presentations.

The conference will foster the development of students' research potential, strengthen academic collaboration and promote the Sustainable Development Goals within the student community. The winning team, advancing through the local stage of the Sustainability Olympiad, will represent Georgia at the European regional semi-final - connecting Alte University to an international academic network and giving students the opportunity to showcase their work on a global stage.